## პროგრამის ფორმა

| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | პროგრამის დასახელება | პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა |
|---|---|---|
| 08 02 | მონაწილეობითი ბიუჯეტის მხარდაჭერა | მუნიციპალური სერვისების განვითარება |

| პროგრამის განმახორციელებელი: | ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია | პროგრამის ბიუჯეტი | 2023 წლის დაფინანსება (ლარი) | 2024 წლის დაფინანსება (ლარი) | 2025 წლის დაფინანსება (ლარი) | 2026 წლის დაფინანსება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1 000 000 | 1 000 000 | 1 000 000 | 1 000 000 |

| | |
|---|---|
| პროგრამის მიზანი | მონაწილეობითი ბიუჯეტირების დანერგვის მიზანს წარმოადგენს თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა უშუალო ჩართულობის მექანიზმის ინსტიტუციონალიზაცია, მოქალაქეთა საჭიროებებზე დაფუძნებული ბიუჯეტის შემუშავება და საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხის ამაღლება. |
| პროგრამის აღწერა | მონაწილეობითი ბიუჯეტი, როგორც თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის ალტერნატიული მექანიზმი, წარმოადგენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროცესის ნაწილს, რომლის ფარგლებშიც მოქალაქეთა უშუალო მონაწილეობით მუშავდება და განისაზღვრება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი პროექტები. მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესი ხორციელდება ქ, ბათუმის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით. საჯარო ხმის მიცემის საფუძველზე გამოვლენილი საპროექტო განაცხადი, რომელმაც ხმის მიცემის პროცედურის საფუძველზე დააგროვა ყველაზე მეტი ხმა დაფინანსდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით.<br>მონაწილეობითი ბიუჯეტის პროექტების გამოვლენა/შერჩევის პროცედურები ხდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებული ბრძანებით და ელექტრონული პლატფორმის (www.idea.batumi.ge) საშუალებით |
| პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | გაზრდილია მოქალაქეთა მონაწილეობა თვითმმართველობის განხორციელების პროცესში |

| № | საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | ინდიკატორის მაჩვენებლები | | | | | ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | საბაზისო 2022 წელი | მიზნობრივი 2023 წელი | მიზნობრივი 2024 წელი | მიზნობრივი 2025 წელი | მიზნობრივი 2026 წელი | |
| 1 | დაფინანსებული პროექტების რაოდენობა | 11 | არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლისა | - | - | - | - |
| 2 | განსახილველად წარმოდგენილი საპროექტო განაცხადების რაოდენობა | 71 | არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლისა | არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლისა | არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლისა | არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლისა | 10% - ნაკლები ინფორმირებულობა და დაინტერესება |
| 3 | ელექტრონული პლატფორმით ხმის მიცემის პროცესში მონაწილეთა რაოდენობა | 2806 | არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლისა | არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლისა | არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლისა | არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლისა | 10% - ნაკლები ინფორმირებულობა და დაინტერესება |